სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
შემოწმების შესახებ

ინსპექტირების აქტი № 004916

ქ. თბილისი ვ. წიფლიანის I შესახვევი №1 — 29 ოქტომბერი 2025 წ.
(აქტის შედგენის ადგილი) (თარიღი)

შპს „ჰანიმანგ ლუკ ჯორჯია" ს/კ 404865393 [redacted]
(რეგულირების ობიექტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი, ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადი ნომერი, [redacted]
ობიექტის ხელმძღვანელის ან იურიდიული პირის სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი, [redacted]
მისამართი, რეგულირების ობიექტის წარმომადგენლობის დამადასტურებელი რეკვიზიტები)

საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნები შეამოწმა ქალაქ თბილისის ეკოლოგიურ სამსახურის ცხოვრების სამყაროს კონტროლის განყოფილების ხელმძღვანელი [redacted]
(დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურ(ეებ)ის თანამდებობა, სახელი, გვარი)
[redacted] ამავე განყოფილების მოხელე კონტროლის სპეციალისტ-ინსპექტორი შალვა-მიერანის ხეობათა სამმართველოს გინერმოლოცული ინსპექტირების განყოფილების მოხელე კონტროლის სპეციალისტ-ინსპექტორი [redacted]

შემოწმების ჩატარების საფუძველი გინერმოლოცული ზედამხედველობის დეპარტამენტის
(ბრძანება – რეგულირების ობიექტის შემოწმების შესახებ ან სხვა
უფროსის 2025 წლის 1 ოქტომბრის №DES 9250000462 ბრძანება
შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი)

შემოწმებაში მონაწილეობა მიიღეს შპს „ჰანიმანგ ლუკ ჯორჯია"-ს ნდობის
(შემოწმებაში მონაწილეთა გვარი, სახელი, თანამდებობა – მისი არსებობისას)
პირადი [redacted]

შესამოწმებელი ობიექტის საქმიანობის ძირითადი მონაცემები შპს „ჰანიმანგ ლუკ ჯორჯია"-ზ
საქონლიერი შეკრების №0000090 სპეციალური ლიცენზია გაცემული
(როდიდან მოქმედებს, გამოყენებული ნედლეული,წარმოებული პროდუქცია, საპროექტო და ფაქტობრივი სიმძლავრე,
2010 წლის 14 დეკემბერს და ძალაშია 2030 წლის 14 დეკემბერამდე. ლიცენზიით
გარემოს დამაბინძურებელი უბნები და მათი მდგომარეობის მოკლე დახასიათება, ტექნოლოგიური პროცესის მოკლე
განსაზღვრული ფაქტორები შეღებვის ლინიის და ლუმენის ბუნიკატორებში
აღწერა და ა.შ.)

მოიცავს ზარიძეების საცხოვრებელ 1-14 ოთახებსა და ბარიერების საცხოვრებელ №3, 7-11, 16, 20, 21, 26 ოთახებს. სულ 2325 მ²-ზე. ეიფელ ზონაში კანონმდებლობა შეასრულა და ეიფელ კანონმდებლობით განსაზღვრული საერთაშორისო ჰარმონიები. ჩაყარეს საერთაშორისო ჰარმონიების შესრულების შესახებ იხ. ინსპექტირების აქტი №004916 დანართი №1.

გამოვლენილი ნაკლოვანებები და დარღვევები შემოწმების შედეგად
(დარღვევათა სრული ჩამონათვალი არსებობის შემთხვევაში)

საჭიროებისამებრ იხ. გამოკლებული.

მიწერილობებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა

ობიექტის წარმომადგენლის ახსნა-განმარტება

აქტს [redacted]ი: №004916 აქტის დანართი 1, 13 გვ. 6,7,8,9 ოქმების საკუთ. აქტები 4 გვ.

[redacted]

(ობიექტის წარმომადგენლის ხელმოწერა)

მონაწილეთა ხელმოწერა:

შემოწმების შესახებ ინსპექტირების №004916 აქტის დანართი №1

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 1 ოქტომბრის **№**DES92500000462 ბრძანების საფუძველზე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურის ცხოველთა სამყაროს კონტროლის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა შემოწმების ჯგუფის ხელმძღვანელი), ამავე განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა - ინსპექტორმა და ამავე დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამმართველოს გარემოსდაცვითი ინსპექტირების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა-ინსპექტორმა 2025 წლის 6 ოქტომბრიდან - 29 ოქტომბრის ჩათვლით განახორციელეს დუშეთის და თიანეთის მუნიციპალიტეტებში, შპს „ჰანთინგ ტურ ჯორჯია"-ზე (ს/კ 404865393) 2010 წლის 14 დეკემბერს გაცემული სამონადირეო მეურნეობის №0000090 სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება. უშუალოდ ადგილზე ინსპექტირება განხორციელდა 6 ოქტომბრიდან, 10 ოქტომბრის პერიოდში.

შემოწმებას ესწრებოდა შპს „**ჰანთინგ ტურ ჯორჯია**"-ს ნდობით აღჭურვილი პირი (მინდობილობა №„06/10", 2025/10/06)

სამონადირეო მეურნეობის №0000090 სპეციალური ლიცენზია გაცემულია შპს **„ჰანთინგ ტურ ჯორჯია"**-ზე 2010 წლის 14 დეკემბერს და ძალაშია 2030 წლის 14 დეკემბრამდე. ლიცენზიით განსაზღვრული ფართობი მდებარეობს თიანეთის და დუშეთის მუნიციპალიტეტებში და მოიცავს მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურის, თიანეთის სატყეო უბნის ზარიძეების სატყეოს (ყოფილი ზარიძეების სატყეო უბნის №2 სამცველოს და №16 სამცველოს) 1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14 კვარტლებს, ფართობით: 1639ჰა. და ბარისახოს სატყეო უბნის თვალივის (ყოფილი თვალივის სატყეო უბნის №3 სამცველოს) 7, 8, 9, 10, 11, 16, 20, 21, 26 კვარტლებს, ფართობით: 686 ჰა. სულ: 2325ჰა.

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორია მოიცავს მდინარე შარახეულას ხეობას, ტყის კულტურებიდან აღსანიშნავია წიფელი და რცხილა, ასევე გვხვდება მურყანი, იფანი, ნეკერჩხალი, ქართული მუხა, ცაცხვი და სხვ. ქვეტყეში გვხვდება შინდი, მაყვალი, ზღმარტლი, ღვერთკეცი, კუნელი ტყემალი, მაჟალო და სხვ.

ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის შესასვლელში თვალივის სატყეოს №26 კვარტლის საზღვართან განთავსებულია სანადირო მეურნეობაში შესვლის მანიშნებელი ბანერი, აქვე გზის პირას აშენებულია მონადირის სახლი, აქვე მოწყობილია ფაცხა/ფანჩატური.

ტერიტორიაზე შემოწმების ჯგუფის წევრების მიერ ნანახი იქნა გარეული ცხოველების ნაკვალევი, კერძოდ დათვის ნაწოლები და ფეხის ნაკვალევი, შველის ნაწოლები, ფეხის ნაკვალევი და მცენარეზე დარჩენილი ბალანი, მგელის და ღორის ნაკვალევი.

შპს „ჰანთინგ ტურ ჯორჯია“ ლიცენზიის პირობების შესაბამისად ვალდებულია დაიცვას „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №132 დადგენილების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად დადგენილი პირობები.

ადგილზე განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგინდა შემდეგი:

პირობა:

ა) სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის დამტკიცებამდე, ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე შესაბამისი ორგანოსგან ეტაპობრივად, თითოეული კვარტალის მიხედვით, ჩაიბაროს ტერიტორია მიღება-ჩაბარების აქტით. ლიცენზიანტი და სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე შესაბამისი ორგანოს წარმომადგენლები ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ერთობლივად აღრიცხავენ უკანონო ჭრებს და სხვა დარღვევა-ნაკლოვანებებს, რაც, შესაბამისად, აისახება მიღება-ჩაბარების აქტში. მიღება-ჩაბარების განხორციელების წესსა და ფორმას ამტკიცებს მინისტრი ბრძანებით „ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზიით, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით ან სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით განსაზღვრული ფართობის მიღება-ჩაბარების განხორციელების წესისა და ფორმის შესახებ“;

შესრულების მდგომარეობა:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 10 სექტემბრის №33 ბრძანების (ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზიით, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით ან სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით განსაზღვრული ფართობის მიღება-ჩაბარების განხორციელების წესისა და ფორმის შესახებ) შესაბამისად, შპს **„ჰანთინგ ტურ ჯორჯია“**-ს ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიები გადაბარებული აქვს 2010 წლის 26 ივნისს.

პირობა:

ბ) განახორციელოს ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვა

ბ.ა) დაიცვას ლიცენზიით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია უკანონო ნადირობისა და ტყით სარგებლობისაგან;

შესრულების მდგომარეობა:

შპს **„ჰანთინგ ტურ ჯორჯია“**-ს დირექტორის
ლიცეზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე აო ჰყავს დაქირავებილი მცველები, განმარტებით,
ტერიტორიის დაცვას ახორციელებენ

პირობა :

ბ.ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აღკვეთოს და შესაბამის ორგანოებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე უნებართვო საქმიანობისა და სამართალდარღვევის ფაქტების შესახებ;

შესრულების მდგომარეობა:

შპს **„ჰანთინგ ტურ ჯორჯია“**-ს დირექტორის
ლიცეზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე 2023-2025 წლებში რაიმე სახის სამართალდარღვევა არ დაფიქსირებულა. განმარტებით,

პირობა:

გ) ლიცენზიის აღებიდან არაუგვიანეს 12 თვისა სამინისტროში წარადგინოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შედგენილი სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის პროექტი. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელმა, რომლის დამტკიცებულ სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმას ამოეწურა კანონმდებლობით დადგენილი მოქმედების ვადა, უნდა წარმოადგინოს მართვის გეგმის ახალი პროექტი ამ ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 3 თვისა. სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის პროექტის კანონმდებლობით დადგენილი წესით განხილვის შემდეგ, სამინისტროს მიერ ლიცენზიის მფლობელისთვის შენიშვნების გაგზავნიდან (ჩაბარებიდან) სამი თვის ვადაში, სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინოს შენიშვნების სრულად გათვალისწინებით გადამუშავებული სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის პროექტი;

შესრულების მდგომარეობა:

2020 წლის 18 აგვისტოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-730 ბრძანებით შპს ,,ჰანტინგ ტურ ჯორჯია"-ს დაუმტკიცდა სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმა.

პირობა:

გ[1]) მართვის გეგმის დამტკიცებამდე აკრძალულია სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება, გარდა ტერიტორიის დაცვის ვალდებულებისა და აუცილებელი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებებისა;

შესრულების მდგომარეობა:

იხ. პირობა გ).-ს შესრულების მდგომარეობა.

პირობა:

დ) უზრუნველყოს დამტკიცებული სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება;

შესრულების მდგომარეობა:

მართვის გეგმის შესაბამისად, ლიცენზიანტი ვალდებულია მუდმივად აწარმოოს ტერიტორიის მონიტორინგი, დაკვირვება როგორც ცხოველთა სამყაროს ობიექტებზე, ასევე მცენარეულ საფარზე. გეგმის 23-25 გვერდებზე მოცემულია მონიტორინგის პროგრამა და დასახული საქმიანობების განხორციელების დროში განაწილება. აღნიშნული პროგრამის შესაბამისად ლიცენზიანტი ვალდებულია ნადირობისმცოდნის და მცველის მეშვეობით წელიწადში ორჯერ (გაზაფხულ-შემოდგომით) აწარმოოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ცხოველთა სამყაროს ობიექტებზე დაკვირვება, მათ საბინადრო გარემოზე, გამრავლებაზე, დაავადებებზე, ინვაზიური სახეობების გამოჩენაზე. აღნიშნული დაკვირვებების შედეგების მონიტორინგის ჟურნალში ასახვა. ლიცენზიანტი აწარმოებს მონიტორინგის ჟურნალს რომელიც წარმოდგინეს.

ასევე ამავე მონიტორინგის პროგრამით ლიცენზიანტმა ყოველწლიურად უნდა აწარმოოს სავარგულების ბიოტექნიკური კეთილმოწყობის ღონისძიებები. ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ნანახი იქნა საკვებურები და სამარილეები (ადგილზე არსებული ქვამარილით), ასევე სალიცენზიო ტეროტორიების მიმდებარედ არსებულ ნასოფლარებში ნანახი იქნა თივის ზვინები, რომლებიც ლიცენზიანტის განმარტებით გათვალისწინებულია ზამთარში გარეული ცხოველების საკვებად.

ასევე მინიტორინგის გეგმით გათვალისწინებულია პერიოდულად მცველის მიერ ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოების და ნარჩენების მართვის კუთხით დაკვირვება.

ტერიტორიაზე ხანძრის შემთხვევები არ დაფიქსირებულა ასევე არ ყოფილა ნანახი რაიმე სახის ნარჩენების განთავსების ან დაბინძურების კერები.

მონიტორინგის პროგრამით გათვალისწინებულია მცენარეებზე დაკვირვება წელიწადში ორჯერ (გაზაფხულ-შემოდგომით) ბიოლოგის და მცველის მეშვეობით. ლიცენზიანტმა წარმოადგინა ბიოლოგ მიერ წარმოებული მონიტორინგის დამადასტურებელი აქტები.

ლიცენზიანტმა მართვის გეგმით ივალდებულა 2021-2022 წლებში მონადირის სახლის აშენება. თვალივის სატყეოს 26 კვარტალში, ლიცენზიანტს აშენებული აქვს ერთსართულიანი შენობა (ზომები 5მ.-7მ.) ვერანდით, ასევე შენობის სიახლოვეს მოწყობილია ფაცხა/ფანჩატური.

პირობა:

ე) ტერიტორიაზე არსებული ფაუნის წარმომადგენლების ზუსტი რაოდენობების დადგენის მიზნით, ყოველწლიურად, ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს ცხოველთა სამყაროს ობიექტების ინვენტარიზაციის/აღრიცხვის მასალები, მათ შორის, ცხოველთა სამყაროს მოპოვებული ობიექტების აღრიცხვის მასალები, აღრიცხვის, ასევე კვოტების განსაზღვრის მეთოდის აღწერითა და ცხოველთა სახეობების მიხედვით მოპოვების შეთავაზებული ოდენობების (კვოტების) მითითებით, რომელსაც თან უნდა ახლდეს ფოტომასალა ან/და ვიდეომასალა GPS-კოორდინატების აღნიშვნით (დროისა და თარიღის მითითებით), რომელთა განხილვის შემდეგ ლიცენზიის გამცემი ამტკიცებს ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის კვოტას;

შესრულების მდგომარეობა:

2022 წელს ლიცენზიანტის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ლიცენზიის გამცემთან წარდგენილ იქნა ცხოველთა სამყაროს ობიექტების ინვენტარიზაციის მასალები, კვოტის დამტკიცების მიზნით. გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 29 ნოემბრის №488/ს ბრძანებით ლიცენზიანტს დაუმტკიცდა 2022-2023 წლების სანადირო სეზონისათვის ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის კვოტები:

ა) შველი - 3 ინდივიდი;

ბ) კურდღელი -17 ინდივიდი;

გ) კლდის კვერნა - 20 ინდივიდი;

დ) მგელი- 1 ინდივიდი;

2022-23 წლების სანადირო სეზონზე ლიცენზიანტს მიერ მოპოვებულია კურდღელი - 10; მგელი -1; კლდის კვერნა -9.

2023 წელს ლიცენზიანტის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ლიცენზიის გამცემთან წარდგენილ იქნა ცხოველთა სამყაროს ობიექტების ინვენტარიზაციის მასალები, კვოტის დამტკიცების მიზნით. გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 7 ნოემბრის №613/ს გრძანებით ლიცენზიანტს დაუმტკიცდა 2023-2024 წლების სანადირო სეზონისათვის ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის კვოტები:

ა) შველი - 4 ინდივიდი;

ბ) კურდღელი -15 ინდივიდი;

გ) მგელი - 2 ინდივიდი;

დ) კლდის კვერნა - 29 ინდივიდი;

2023-24 წლების სანადირო სეზონზე ლიცენზიანტს მიერ მოპოვებულია კურდღელი - 15; მგელი -2; კლდის კვერნა -10.

2024 წელს ლიცენზიანტის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ლიცენზიის გამცემთან წარდგენილ იქნა ცხოველთა სამყაროს ობიექტების ინვენტარიზაციის მასალები, კვოტის დამტკიცების მიზნით. გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 11 ივლისს №357/ს გრძანებით ლიცენზიანტს დაუმტკიცდა 2024-2025 წლების სანადირო სეზონისათვის ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის კვოტები:

ა) შველი - 3 ინდივიდი;

ბ) კურდღელი - 14 ინდივიდი;

გ) მაჩვი - 5 ინდივიდი;

დ) მგელი - 2 ინდივიდი;

ე) კლდის კვერნა - 15 ინდივიდი;

2024-25 წლების სანადირო სეზონზე ლიცენზიანტის მიერ მოპოვებულია სველი - 1; კურდღელი -10; მგელი -1; კლდის კვერნა -9.

პირობა:

ვ) დაიცვას დადგენილი წესები, კვოტები და ვადები;

შესრულების მდგომარეობა:

შპს ,, **ჰანთინგ ტურ ჯორჯია**"-ს, მიერ 2022-2025 წლებში ნადირობის დადგენილი წესების, კვოტების და ვადების დარღვევის ფაქტები არ დაფიქსირებულა, ასევე

ლიცენზიანტს გადახდილი აქვს ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობისათვის დაწესებული მოსაკრებელი.

პირობა:

ზ) უზრუნველყოს სამონადირეო მეურნეობის ფარგლებში, ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირებული, ბუნებრივად არსებული გარეული ცხოველების დაცვა და შენარჩუნება, არ დაუშვას გარეული ცხოველების საბინადრო გარემოს დარღვევა ან გაუარესება;

შესრულების მდგომარეობა:

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე გარეული ცხოველების საბინადრო გარემოს დარღვევის შემთხვევები არ ფიქსირდება.

პირობა:

თ) უზრუნველყოს ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა, ხოლო ხანძრის საფრთხის შემთხვევაში, მიიღოს ზომები მის სალიკვიდაციოდ და საფრთხის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სათანადო ორგანოებს;

შესრულების მდგომარეობა:

ლიცენზიანტის განმარტებით ტერიტორიაზე გადაადგილების მსურველს ეძლევა მითითება ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვის შესახებ. ლიცენზიანტს მონადირის სახლთან მოწყობილი აქვს სახანძრო კუთხე სადაც განთავსებულია ცეცხლმაქრი, ტერიტორიაზე ხანძრის შემთხვევები არ ყოფილა.

პირობა:

ი) დაუყოვნებლივ შეწყვიტოს გარეული ცხოველებით სარგებლობა მათი მდგომარეობისა და საბინადრო პირობების გაუარესებისა და გარეულ ცხოველთა განადგურების საშიშროების წარმოქმნის შემთხვევაში, რის შესახებაც უნდა აცნობოს სამინისტროს. მიიღოს ზომები გარეულ ცხოველებსა და მათ საბინადრო გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის ასაცილებლად;

შესრულების მდგომარეობა:

შემოწმების ჯგუფის მიერ შემოწმებულ ტერიტორიებზე გარეული ცხოველების საბინადრო პირობების გაუარესების და განადგურების საშიშროების საფრთხეები არ გამოვლენილა.

პირობა:

კ) ლიცენზიის ნაწილის გასხვისებისას, ლიცენზიის გასასხვისებელი ნაწილით განსაზღვრული ტერიტორია არ უნდა არღვევდეს სატყეო კვარტალების საზღვრებს;

შესრულების მდგომარეობა:

ლიცენზიის გასხვისება არ მომხდარა. შესაბამისად, არ განიხილება დადგენილების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის **ლ), ლ.ა), ლ.ბ), მ) და ნ) ქვეპუნქტები.**

პირობა:

ო) უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნების დაცვა და შექმნას მისი მდგრადი გამოყენების პირობები:

შესრულების მდგომარეობა:

შპს „**ჰანთინგ ტურ ჯორჯია**"-ს მიერ ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მდგრადი გამოყენების პირობების შესაქმნელად ხორციელდება მუდმივი მეთვალყურეობა ტერიტორიაზე, უშუალოდ პარტნიორების მიერ.

ო.ა) დაიცვას ბიომრავალფეროვნება საქმიანობის შედეგად გამოწვეული დაბინძურებისაგან;

შესრულების მდგომარეობა:

შემოწმების ჯგუფის მიერ შემოწმებულ ტერიტორიებზე ლიცენზიანტის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი დაბინძურების კერები არ ყოფილა ნანახი, შპს „**ჰანთინგ ტურ ჯორჯია**"-ს წარმომადგენლების განცხადებით, ნანადირევი ყოველგვარი დამუშავების გარეშე გამოდის ტერიტორიიდან და მიაქვს მონადირეს.

ო.ბ) არ დაუშვას უცხო (ინვაზიური) სახეობებისა და გენეტიკურად მოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების გავრცელება და/ან გამოყენება ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე საქმიანობის დროს;

შესრულების მდგომარეობა:

ლიცენზიანტის განმარტებით ტერიტორიაზე უცხო სახეობების და გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შეყვანა/შეტანა მათ მიერ არ განხორციელებულა, ასევე არ მომხდარა გამოვლინება ტერიტორიაზე უცხო სახეობების და გენმოდიფიცირებული ორგანიზმების.

ო.გ) საქმიანობამ არ უნდა გამოიწვიოს ეკოსისტემის ფრაგმენტაცია, სახეობრივი მრავალფეროვნების გაღარიბება;

შესრულების მდგომარეობა:

ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, შემოწმების პერიოდში არ დაფიქსირდა ეკოსისტემის ფრაგმენტაცია და სახეობრივი მრავალფეროვნების გაღარიბება.

ო.დ) არ დაუშვას გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალების, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების გაუარესება;

შესრულების მდგომარეობა:

ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალების, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების გაუარესება შემოწმების პერიოდში არ დაფიქსირებულა.

პირობა:

პ) უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული იშვიათი, საფრთხის ქვეშ და გადაშენების პირას მყოფი, საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი ენდემური და რელიქტური სახეობებისა და მათი საბინადრო გარემოს დაცვის ღონისძიებები;

შესრულების მდგომარეობა:

ტერიტორიაზე არსებული იშვიათი, საფრთხის ქვეშ და გადაშენების პირას მყოფი, საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი ენდემური და რელიქტური სახეობებისა და მათი საბინადრო გარემოს დაცვის ღონისძიებებს ლიცენზიანტი ახორციელებს თავისი პარტნიორების მიერ ტერიტორიის მუდმივი მეთვალყურეობის შედეგად, რაიმე სახის გაუარესება ან საფრთხის ნიშნები არ დაფიქსირებულა.

პირობა:

ჟ) უზრუნველყოს მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვა. მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების მდგრადი მართვისა და დაცვის გზით უნდა შენარჩუნდეს ან გაუმჯობესდეს აღნიშნული ტყეებისათვის ძირითადი მახასიათებლები. ლიცენზიანტის მიერ უნდა იყოს დოკუმენტირებული, თუ როგორ ხდება მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვის უზრუნველყოფა;

შესრულების მდგომარეობა:

მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების მდგრადი მართვისა და დაცვის ღონისძიებების შესახებ დოკუმენტირებულია მართვის გეგმაში. აღნიშნულიც ხორციელდება ლიცენზიანტის პარტნიორების მიერ ტერიტორიის მუდმივი მეთვალყურეობის შედეგად, მცენარეული საფარი შენარჩუნებულია ბუნებრივი სახით.

პირობა:

რ) განახორციელოს ტყის მოვლის, მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვის ღონისძიებები, რომელთა უზრუნველსაყოფადაც განახორციელოს მუდმივი მონიტორინგი. მავნებელ-დაავადებების მასობრივად გავრცელების შემთხვევაში, ინფორმაცია ოპერატიულად მიაწოდოს სამინისტროს;

შესრულების მდგომარეობა:

ლიცენზიანტის განცხადებით ისინი მუდმივად აკონტროლებენ ტყეში ხე-მცენარეების მდგომარეობას, წელიწადში ორჯერ, გაზაფხულზე და შემოდგომაზე ახდენენ ტერიტორიის დათვალიერებას სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, აგრარული ტექნოლოგიების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომლის (მაინარეა ფიზიოლოგია) აფხაზეთის აკადემიის ნამდვილი წევრის ერთად, მავნებელ დაავადებების გავრცელების შემთხვევების აღსაკეთ-გაძოსავლენად, რაზეც დგება აქტები.

აღნიშნული დოკუმენტაცია ლიცენზიანტის მიერ წარმოდგენილი იქნა მატერიალური სახით და შემოწმების პროცესში გადმოგვეცა ხელზე.

რ[1]) სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე შესაბამის ორგანოსთან შეთანხმების საფუძველზე, აღნიშნულ ორგანოს, ასევე ხე-ტყის ნარჩენებისგან ბიოსაწვავის წარმოებით დაინტერესებულ პირს (რომელსაც საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულებისა და „ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესის შესახებ" დებულების საფუძველზე სახელმწიფო ტყის მართვის ორგანოსთან დადებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება), ხელი არ შეუშალოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული ხე-ტყის ნარჩენების გამოტანაში, ასევე სტიქიური მოვლენების შედეგად წარმოქმნილი, მოთხრილი ან/და მოტეხილი მერქნული რესურსის დამზადებაში. სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე შესაბამისი ორგანო უფლებამოსილია, აღნიშნული რესურსი განკარგოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

შესრულების მდგომარეობა:

აღნიშნული საჭიროება არ დამდგარა.

პირობა:

ს) მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებისას, ლიცენზიანტი ვალდებულია, დაასაბუთოს მათი გამოყენების აუცილებლობა და სამინისტროში შესათანხმებლად წარადგინოს დასახული ღონისძიებების გეგმა. მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების გამოყენება უნდა იყოს დასაბუთებული და დოკუმენტირებული;

შესრულების მდგომარეობა:

ლიცენზიანტის განმარტებით მათ მიერ სანადირო მეურნეობის ტერიტორიაზე მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები არ ყოფილა გამოყენებული.

პირობა:

ტ) ნარჩენები (გარდა ხე-ტყის დამზადების ნარჩენების დადგენილი წესით განთავსების შემთხვევისა) არ შეიძლება განთავსებულ იქნეს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე;

შესრულების მდგომარეობა:

შემოწმების ჯგუფის მიერ შემოწმებულ ტერიტორიებზე რაიმე სახის ნარჩენების განთავსების ფაქტი არ ყოფილა ნანახი.

პირობა:

უ) ხელი არ შეუშალოს მოსახლეობას: იმყოფებოდეს და თავისუფლად გადაადგილდეს ტყეში, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, პირადი მოხმარების მიზნით, შეაგროვოს ტყის არამერქნული რესურსები და ხის მეორეხარისხოვანი მასალები (გარდა „წითელი ნუსხით" დაცული მერქნიანი სახეობებისა), ტყის ბუნებრივი თვისებები გამოიყენოს დასვენების, ტურიზმისა და ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით;

შესრულების მდგომარეობა:

ლიცენზიანტის განმარტებით მოსახლეობის გადაადგილებას ტერიტორიაზე მათი მხრიდან დაბრკოლებები არ ექმნება, ტერიტორიაზე გადაადგილების მსურველებს ლიცენზიანტის წარმომადგენლები აფრთხილებს რომ დაიცვან სისუფთავე და სახანძრო უსაფრთხოების წესები.

პირობა:

ფ) საქმიანობის განხორციელებისას, ისტორიული, რელიგიური და კულტურული ობიექტების გამოვლენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, სამინისტროს და უზრუნველყოს მათი დაზიანებისაგან დაცვა;

შესრულების მდგომარეობა:

ტერიტორიაზე ახალი ისტორიულ რელიგიური და კულტურული ობიექტები არ გამოვლენილა.

პირობა:

ქ) ხელი არ შეუშალოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელებას და ტყის მართვის გეგმის შედგენის მიზნით, ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე შესაბამისი ორგანოს მიერ წარმოებული ტყის აღრიცხვის სამუშაოების განხორციელებას;

შესრულების მდგომარეობა:

ლიცენზიანტის მხრიდან ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე შესაბამისი ორგანოზე რაიმე სახის ხელის შეშლის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

პირობა:

ღ) ხელი არ შეუშალოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტების (მაგისტრალური გაზსადენი, მაღალი ძაბვის გადამცემი ანძები და სხვა) განხორციელებასა და ფუნქციონირებას;

შესრულების მდგომარეობა:

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტები (მაგისტრალური გაზსადენი, მაღალი ძაბვის გადამცემი ანძები და სხვა) ტერიტორიაზე არ განხორციელებულა.

პირობა:

ყ) ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე შესაბამის ორგანოს ხელი არ შეუშალოს სათბობი შეშის მოპოვების მიზნით, სოციალური ჭრის ტყეკაფების გამოყოფასა და ამ ტყეკაფებზე ხე-ტყის დამზადება-გაცემაში;

შესრულების მდგომარეობა:

მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის შესაბამისად ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე სათბობი შეშის მოპოვების მიზნით, 2022-2024 წელებში სატყეო სააგენტოს მიერ არ ყოფილა გამოყოფილი სოციალური ჭრის ტყეკაფები.

პირობა:

ყ[1]) ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე შესაბამის ორგანოს ხელი არ შეუშალოს სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების (მათ შორის, სამეურნეო ჭრის) განხორციელებაში. სამეურნეო ჭრა არ დაიშვება სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით განსაზღვრული შეზღუდვის არეალებში (აღკვეთილი და აღწარმოების უბანი) (ეს პირობა ვრცელდება 2021 წლიდან გაცემული ლიცენზიების მფლობელებზე);

შესრულების მდგომარეობა:

ზემოაღნიშნული პირობა შპს „ჰანთინგ ტურ ჯორჯია“-ზე არ ვრცელდება.

შ) ლიცენზიის მოქმედების ვადის ამოწურვის ან დადგენილ ვადამდე ლიცენზიის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, ლიცენზიით სარგებლობაში გადაცემული ტერიტორია მიღება-ჩაბარების აქტით უბრუნდება სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე შესაბამის ორგანოს ამავე პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული პროცედურებით. დასაბრუნებელი ტერიტორიის დაცვისათვის, ამ აქტის გაფორმებამდე, პასუხისმგებლობა ეკისრება ყოფილ ლიცენზიანტს.

შესრულების მდგომარეობა:

ლიცენზიის ვადა იწურება 2030 წლის 14 დეკემბერს.

შპს ,,ჰანთინგ ტურ ჯორჯია"-ს წლიური ანგარიში წარმოდგენილი აქვს დადგენილ ვადებში. დადგენილი ფორმით.

ადგილზე გადაღებულია ფოტო მასალა.

შპს ,,ჰანთინგ ტურ ჯორჯია"-ის წინა შემოწმება, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ განხორციელდა 2022 წლის 15-20 აგვისტოს, რის შედეგადაც სალიცენზიო პირობების და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 1 ოქტომბრის №DES92500000462 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 6 ოქტომბრიდან, 29 ოქტომბრამდე პერიოდში განხორციელებული შპს ,,ჰანთინგ ტურ ჯორჯია"-ზე (ს/კ 404865393) 2010 წლის 14 დეკემბერს გაცემული სამონადირეო მეურნეობის №0000090 სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმების შედეგად სამართალდარღვევები არ დაფიქსირებულა.

აქტი

[illegible] ქ. ზუგდიდი [illegible] 09 ოქტომბერი 2025 წელი

შედგენის ადგილი

შედგენის თარიღი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურის [illegible] სამყაროს კონტროლის განყოფილების ხელმძღვანელმა [illegible] ამავე განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა-ინსპექტორმა [illegible] მცხეთა- მთიანეთის რეგიონული სამმართველოს გარემოსდაცვითი ინსპექტირების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა-ინსპექტორმა [illegible]

[illegible]

აქტი

[illegible] სოფ. ლახტის მიმღებში

შედგენის ადგილი

08 ოქტომბერი 2025 წელი

შედგენის თარიღი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურის ცხოველთა სამყაროს კონტროლის განყოფილების ხელმძღვანელმა ამავე განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა-ინსპექტორმა მცხეთა- მთიანეთის რეგიონული სამმართველოს გარემოსდაცვითი ინსპექტირების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა-ინსპექტორმა

[illegible] "[illegible]"-ს მიმდინარეობდა ოფიციალური [illegible] 7 ოქტომბრის დავალებით [illegible] 7 მგზ 10 საათ [illegible] 11 საათამდე, სოფ. ლახტის მიმღებში, მცენარეული საფარის გვერდზე, ნიადაგი, ხეები, ნაგებობა, [illegible] ან [illegible] ფერდზე [illegible] ბინდის-ფერი [illegible] ერთად [illegible] ადგილ-მიმდებარე ხეებში, [illegible] ადგილ [illegible] ნაგებობა იქნა [illegible] ფერდი. [illegible] 11 საათზე ნაგებობა იქნა [illegible] [illegible] ადგილ [illegible] [illegible] ადგილ [illegible] [illegible] ადგილ [illegible] [illegible] [illegible]

აქტი

ტაბახმელის მუნიციპალიტეტი სოფ. ზუხახევის მიმდებარე — 07. ოქტომბერი 2025წელი.

შედგენის ადგილი — შედგენის თარიღი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურის ცხოველთა სამყაროს კონტროლის განყოფილების ხელმძღვანელმა ამავე განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა-ინსპექტორმა მცხეთა- მთიანეთის რეგიონული სამმართველოს გარემოსდაცვითი იხსპექტირების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა-ინსპექტორმა

„ჯანბაზიგ ტყის ეროვნული" მიგრირებული ფოტოხაფანგი რომლ

07 ოქტომბერს ლოკალური №0000090 სპეციალური ღონისძიება

ველაგლარსანიძეში ტერიტორიაზე: ვეფხვი ბუნების სეფეო ნუსხის 26, 21,

და მე-16 კვირეებზე, ნასროლი ხოვლიანად მიმდებარე ტერიტორიაზე

მე-16 კვირის მიმდებარე ღამეებში ზუხახევ ველაგლარ შეხვედრილ

მონაცემები ძუძ მონიტორს სხვა, ფაცხა, წყალი, ასევე მე-16

კვირეში მონიტორებული ძუძ სანაფრიო ნუნუ სოფელ ენაყოფა

ნაღვარიანები სოფლები და ნიმუშები, ტყის მეკარეებმა შეიძლება

შეგვიფეს, ჩოგორც ეს სანინსტროს ნაფარ-ტიოლეგენერალურ, ისევ

მიეცემა ხოვლები, ასევე ველაგლარიანი მცენარეები სეფეო, ეფედრა ირეკა

ადამიანის ჩარევა, ნანადი ეფრა ბალის ეფექტიანობა და ვეფხვი, ეს

ეფექტი. ოკანონი ტყიანობის ტერიტორიაზე ეს დაფიქსირებული.

ეფექტი გაფრთხილება ტიოლაზე.

ეფექტ სანასმეგვალის ვარტყეტა ხელმონერა

აქტი

[illegible] 06. ოქტომბერი 2025 წელი

შედგენის ადგილი

შედგენის თარიღი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურის ცხოველთა სამყაროს კონტროლის განყოფილების ხელმძღვანელმა

ამავე განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა-ინსპექტორმა

ცხეთა- მთიანეთის რეგიონული სამმართველოს გარემოსდაცვითი ინსპექტირების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა-ინსპექტორმა:

[illegible]